საკრებულოს ეკონომიკური განვითარების,
საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების
კომისიის სხდომის

ოქმი #40

2020 წელი 22 სექტემბერი 13 საათი ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

ნ.რუხაძე, ო.გრიგოლია,
ი. ჯიშკარიანი, ლ. არველაძე,
ა.ხუჯაძე, ქ.ჯოხაძე

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტეის საკრებულოს ქონების მართვის და სფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრები

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე და სამსახურის უფროსის მოადგილე ლევან მიქავა.

სხდომას თავმჯდომარეობდა:

კომისიის თავმჯდომარის მ/შ ლევან დარახველიძე

სხდომის თავმჯდომარის მ/შ ლ.დარახველიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი

სხდომის დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის 2020 წლის ბიუჯეტით მასზე მიკუთვნებული პროგრამის

,,ბიზნესის სტიმულირება“ (კოდი 04 01) ფარგლებში გათვალისწინებული ასიგნებების კვარტალურ გადანაწილების შესახებ

მოისმინეს:

საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ კომისიების წევრებს გააცნო ინფორმაცია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის 2020 წლის ბიუჯეტით მასზე მიკუთვნებული პროგრამის ,,ბიზნესის სტიმულირება“ (კოდი 04 01) ფარგლებში გათვალისწინებული ასიგნებების კვარტალურ გადანაწილების შესახებ.

პროგრამის „ბიზნესის სტიმულირება“ (04 01) ფარგლებში „მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული“ მუხლის მესამე კვარტლის გეგმა შეადგენს 211500,0 ლარს. აღნიშნული მუხლიდან გაიცემა გრანტის ფარგლებში შრომითი ხელშეკრულებით აყვანილი მოსამსახურეების ანაზღაურება. 2020 წლის განმავლობაში ვალუტის კურსის მზარდი ტენდენციიდან გამომდინარე, მუხლში არსებული რესურსი არ არის საკმარისი სექტემბრის თვის ანაზღაურების გასაცემად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური შემოვიდა წინადადებით განახორციელდეს კვარტალური ცვლილება

კომისიის წევრებმა იმსჯელეს. ზემოაღნიშნულ თემაზე და კვარტალურ გადანაწილებას თანხმობა გამოუცხადეს.

ლ.დარახველიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა

სხდომის თავმჯდომარე ლ.დარახველიძე